რ ე ც ე ნ ზ ი ა

თ.მაღლაკელიძის და თანავტორების მიერ წარმოდგენილ დაავადებათა მართვის სახელმწიფო სტანდარტზე (პროტოკოლზე) „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დიაგნოსტიკა, მართვა და პრევენცია“

ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება (ფქოდ-ი) შრომისუნარობის მდგრადი დაქვეითების ერთ-ერთი გავრცელებული მიზეზია, ხოლო სიკვდილობის მიზეზთა შორის, ჯანმო-ს მონაცემებით, მესამე ადგილს იკავებს, რის გამოც ფქოდ-ის დიაგნოსტიკის და მკურნალობის მეთოდების დახვეწა პულმონოლოგიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენს.

სამწუხაროდ ფქოდ-ი დღესდღეობით არ იკურნება, თუმცა მკურნალობასა და ცხოვრების წესის ცვლილებებს შეუძლია მდგომარეობის გაუარესება შეაფერხოს.

სარეცენზიო პროტოკოლი „ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადების დიაგნოსტიკა, მართვა და პრევენცია“ განკუთვნილია პირველადი ჯანდაცვის რგოლის და სტაციონარში მომუშავე პულმონოლოგების, თერაპევტების, ოჯახის ექიმების, ალერგოლოგების, ფთიზიატრების, უმცროსი ექიმების და რეზიდენტებისათვის.

წარმოდგენილი პროტოკოლი შეეხება მოზრდილ პაციენტებს და ეყრდნობა გაიდლაინს Global Strategy of COPD 2020; Up To Date 2020 წლის პუბლიკაციებს „Chronic obstructive pulmonary disease: definition, clinical manifestacions, diagnosis and staging" და "Stable pharmacologic management", ასევე ბოლო სამი წლის განმავლობაში მაღალი იმპაქტ-ფაქტორის გამოქვეყნებულ კვლევებს. ამრიგად, პროტოკოლში ფქოდ-ის შესახებ მსოფლიოში არსებულ უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით განხილულია დაავადების რისკ-ფაქტორები დიფერენციული დიაგნოზის საკითხები ინდივიდუალური პაციენტის სიმპტომების და გამწვავების რისკის შეფასება ABCD სქემით მკურნალობის დასაწყებად და დაავადების პრევენციის საკვანძო საკითხები.

პროტოკოლში დეტალურად არის განხილული ფქოდ-ის ფარმაკოლოგიური (მედიკამენტური) მკურნალობის ახალი მეთოდები და რეკომენდაციები დაავადების გამწვავების და რემისიის დროს. ასევე განხილულია მკურნალობის სხვა მეთოდები (ოქსიგენოთერაპია, ქირურგიული ინტერვენცია და სხვა), ავადმყოფთა ჰოსპიტალიზაციის ჩვენება.

საქართველოს რესპირაციული ასოციაციის წევრების თ.მაღლაკელიძის და თანაავტორების მიერ წარმოდგენილი პროტოკოლის პრაქტიკაში დანერგვა, იმის გათვალისწინებით, რომ ის სავსებით ესადაგება ფქოდ-ის შესახებ დღესდღეობით არსებულ უახლეს მონაცემებს, ძალზე აქტუალურია საქართველოში ამ დაავადების როგორც პირველადი ჯანდაცვის, ასევე სტაციონარის დონეზე მართვის ხარისხის, დიაგნოსტიკის და მკურნალობის გაუმჯობესებისთვის.

თამაზ ლობჟანიძე

ექიმი-პულმონოლოგი,

მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი,

საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატი

თბილისი, 25.05.2020